

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №154

2010 წლის 4 ივნისი

ქ. თბილისი

უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების
თაობაზე

მუხლი 1

„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს:

1. ინსტრუქცია უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ (დანართი №1).
2. უსაფრთხოების დეკლარაციის ფორმა (დანართი №2).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

ინსტრუქცია

უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. უსაფრთხოების დეკლარაციის წარდგენის წესის შესახებ ინსტრუქცია ადგენს დეკლარაციის შევსებისა და წარდგენის წესს.

2. ინსტრუქციის მოთხოვნები ვრცელდება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ შემდეგ ობიექტებზე:

- ა) შახტები, მადარობები;
- ბ) სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოები, სადაც გამოიყენება მომწამვლელი ნივთიერებები;
- გ) მიწისქვეშა ჰესები და თბოელექტროსადგურები;
- დ) სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების დამამზადებელი და შესანახი საწარმოები;
- ე) დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი მწარმოებლობის მინერალური სასუქის მწარმოებელი საწარმოები;
- ვ) ერთდროულად 1000 ტონაზე მეტი მარცვლეულისა და სხვა მცენარეული ნედლეულის შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოები;
- ზ) შავი ლითონების ჩამოსხმის, ცივი და ცხელი ნაგლინის, აგრეთვე ფეროშენადნობების მწარმოებელი საწარმოები;
- თ) დღე-ღამეში 500 ტონაზე მეტი მწარმოებლობის ნავთობ- და აირგადამამუშავებელი საწარმოები;
- ი) მაგისტრალური ნავთობსადენი და გაზსადენი;
- კ) ნავთობისა და ნავთობპროდუქტების საცავები, ტერმინალები, თხევადი აირის საჩამომსხმელო სადგურები, რომელთა ტერიტორიაზე განლაგებული ავზების (რეზერვუარების) ჯამური მოცულობა აღემატება 1000 მ³-ს;
- ლ) ბუნებრივი გამოქვაბულები და მღვიმეები, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება;
- მ) ჟანგბადის მწარმოებელი და სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესი;
- ნ) თხევადი ჟანგბადის წარმოება;
- ო) სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი, ამიაკზე მომუშავე სამაციბრო დანადგარი.

მუხლი 2. უსაფრთხოების დეკლარაციის ცნება

უსაფრთხოების დეკლარაცია – ავარიისა და საგანგებო სიტუაციის რისკის ფაქტორის შეფასების მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენილი ინფორმაცია მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის შესახებ.

მუხლი 3. უსაფრთხოების დეკლარაციის გამოყენების მიზანი

უსაფრთხოების დეკლარაციის გამოყენების მიზანია მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტზე შესაძლო ავარიებისა და საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების ან, მათი წარმოქმნის შემთხვევაში, შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებათა საკმარისობისა და ეფექტიანობის შეფასება. ასევე, უსაფრთხოების ზომების დაცვის კონტროლის უზრუნველყოფა.

მუხლი 4. უსაფრთხოების დეკლარაციის ამოცანები

უსაფრთხოების დეკლარაციის ამოცანებია:

- ა) რისკის ხარისხის განსაზღვრა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტში მომუშავე პერსონალისათვის, ასევე მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისათვის;

- ბ) შესაძლო ავარიის აღბათობის დადგენა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტზე;
- გ) ავარიის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;
- დ) მომხდარ ავარიაზე რეაგირებისა და შედეგების სალიკვიდაციო ძალების განსაზღვრა;
- ე) შესაძლო ზემოქმედება მეზობელ ობიექტზე ავარიის შემთხვევაში;
- ვ) ავარიის შემთხვევაში რისკის შემცირებისა და შედეგების შერბილებისათვის ღონისძიებათა შემუშავება.

მუხლი 5. უსაფრთხოების დეკლარაციის შევსება

1. უსაფრთხოების დეკლარაცია პირველი მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების მიერ ივსება კალენდარული წლის დასაწყისში, სამი წლის ვადით, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტში არსებული მონაცემების მიხედვით; ცვლილებების შემთხვევაში, აუცილებელია კორექტირება.
2. უსაფრთხოების დეკლარაცია ივსება ორ ეგზემპლარად, რომელსაც ხელს აწერს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის ხელმძღვანელი. ერთი ეგზემპლარი რჩება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს, ხოლო მეორე – წარედგინება საგანგებო სიტუაციებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაწყვეტად სპეციალურად უფლებამოსილ ცენტრალურ ორგანოს.
3. უსაფრთხოების დეკლარაციას ავსებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის (მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) უსაფრთხოებისათვის პასუხისმგებელი პირი ან სამსახურის ხელმძღვანელი.
4. მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი უფლებამოსილია, უსაფრთხოების დეკლარაციის მომზადების მიზნით ისარგებლოს მოწვეული ექსპერტის მომსახურებით.
5. უსაფრთხოების დეკლარაცია ივსება სპეციალური ფორმის მიხედვით (დანართი №2). ფორმაში აღნიშნული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:
 - ა) პირველ პუნქტში აღინიშნება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის ზუსტი დასახელება და მისამართი საკონტაქტო ტელეფონების, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მითითებით;
 - ბ) მე-2 პუნქტში აღინიშნება ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმები., ასევე, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტში მოსამსახურეთა საერთო რაოდენობა, სამუშაო ცვლათა რაოდენობა, თანამშრომელთა მაქსიმალური რაოდენობა ცვლაში;
 - გ) მე-3 პუნქტში აღინიშნება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის, მის შემადგენლობაში შემავალი საამქროების, საწარმოო უბნებისა და ა.შ. ექსპლუატაციაში გაშვებისა და რეკონსტრუქციის თარიღი;
 - დ) მე-4 პუნქტში აღინიშნება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს აქვს თუ არა გენგემა ან განახლებული სიტუაციური გეგმა, პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო მონაცემები, ვისგანაც არა უგვიანეს 24 საათისა შესაძლებელია მიღებულ იქნეს აღნიშნული გეგმები;
 - ე) მე-5 პუნქტში აღინიშნება დეკლარირებული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის საამქროების, უბნების, შენობების, სათავსოების კლასიფიკაცია საფრთხიანობის კლასიფიკაციის მიხედვით, აგრეთვე მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის საქმიანობის ძირითადი მიმართულება, წარმოებული პროდუქციის (ან ნახევარფაბრიკატის), გამოყენებული ნედლეულის, მასალების სახეობა და მისი შეფასება საფრთხიანობის კლასისა და კატეგორიის მიხედვით;
 - ვ) მე-6 პუნქტში აღინიშნება გაბატონებული ქარების მიმართულება და მათი სიდიდეები წლის დროების მიხედვით (მაგ.: ზაფხულში – ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი 2 მ/წმ სიჩქარით და ა.შ.);
 - ზ) მე-7 პუნქტში აღინიშნება დეკლარირებული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე საწარმოებისა (ორგანიზაციების) და

დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდნენ მავნე ფაქტორების გავლენის ზონაში (თუ მიმდებარე ტერიტორიაზე განლაგებულია ორი ან ორზე მეტი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი, უნდა აღინიშნოს, შეთანხმებულია თუ არა ერთმანეთთან საავარიო სიტუაციებში მოქმედების გეგმა);

თ) მე-8 პუნქტში აღინიშნება, არსებობს თუ არა საწარმოო პროცესების უსაფრთხოების კონტროლის სისტემები, მათ შორის, უავარიო გაჩერების სისტემები. არსებობის შემთხვევაში მიეთითება მისი ზუსტი დასახელება, ექსპლუატაციაში გაშვების თარიღი და საექსპლუატაციო ვადები;

ი) მე-9 პუნქტში აღინიშნება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტზე შესაძლო ავარიების სცენარის მოკლე აღწერა, მავნე ფაქტორების მოქმედების სავარაუდო ზონის საზღვრები, მონაცემები დაზარალებულთა შესაძლო რაოდენობის, მატერიალური ზარალისა და გარემოს დაბინძურების შესახებ;

კ) მე-10 პუნქტში აღინიშნება, არსებობს თუ არა შესაძლო ავარიის შემთხვევაში მომსახურე პერსონალის შეტყობინების (განგაშის) სისტემა, არსებობის შემთხვევაში მიეთითება მისი ტიპი;

ლ) მე-11 პუნქტში აღინიშნება, არსებობს თუ არა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობის შეტყობინების სისტემა; არსებობის შემთხვევაში, მიეთითება მისი ტიპი და აქტიური მოქმედების რადიუსი;

მ) მე-12 პუნქტში აღინიშნება კავშირგაბმულობის რა სახეებია გამოყენებული სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოს შეტყობინებისა და მასთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით, არსებობს თუ არა კავშირის ლოკალური სისტემები; არსებობის შემთხვევაში მიეთითება მათი სახე; არსებობს თუ არა ხელმძღვანელ პირთა შეტყობინების (გამოძახების) სქემები;

ნ) მე-13 პუნქტში აღინიშნება, მართვის პუნქტებისა და მომსახურე პერსონალის დაცვის მიზნით, არის თუ არა გათვალისწინებული დამცავი ნაგებობა; არსებობის შემთხვევაში მიეთითება მისი ტევადობა და კლასი;

ო) მე-14 პუნქტში აღინიშნება ცვლაში მომუშავე პერსონალის რამდენი პროცენტია უზრუნველყოფილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით; ინდივიდუალური დაცვის საშუალებების ტიპი, მარკა და რაოდენობა;

პ) მე-15 პუნქტში აღინიშნება, არის თუ არა შემუშავებული და გაეცნო თუ არა პერსონალი საევაკუაციო სქემებსა და უსაფრთხო ზონებს;

ჟ) მე-16 პუნქტში ჩამონათვალის სახით აღინიშნება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტში წარმოებული, ტექნოლოგიურ პროცესებში გამოყენებული, ტრანსპორტირებადი და დასაწყობებული (საცავებში არსებული რეზერვების სახით) საშიში ნივთიერებები, მათი სახეობა, რაოდენობა, საშიშროების ხარისხი და ზემოქმედების ხასიათი, შენახვის საშუალებები და პირობები (თითოეულისათვის ცალ-ცალკე);

რ) მე-17 პუნქტში აღინიშნება, აქვს თუ არა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს კვების ბლოკი; არსებობის შემთხვევაში მიეთითება, თუ რამდენ კაცზეა გათვლილი და საერთო ფართობი;

ს) მე-18 პუნქტში აღინიშნება, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს აქვს თუ არა ავარიების (საგანგებო სიტუაციების) შედეგების ლოკალიზაციის ღონისძიებათა გეგმა, გაეცნო თუ არა პერსონალი ამ გეგმას; პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო მონაცემები, ვისგანაც შესაძლებელია მიღებულ იქნეს აღნიშნული გეგმა;

ტ) მე-19 პუნქტში აღინიშნება, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტს აქვს თუ არა უსაფრთხოების სამსახური, საავარიო-სამაშველო და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფი, მათი სახეობა, შემადგენლობა და რაოდენობა;

უ) მე-20 პუნქტში აღინიშნება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტში რა რაოდენობით და რა სახის სამაშველო და ავარიების ლოკალიზაციის საშუალებები არსებობს (ჩამონათვალი); ასევე, პირველადი დახმარების საშუალებების ჩამონათვალი და რაოდენობა; მავნე ნივთიერებების საიდენტიფიკაციო ხელსაწყოების ჩამონათვალი და რაოდენობა; სპეცტექნიკის (აღჭურვილობის) ჩამონათვალი და რაოდენობა;

ფ) 21-ე პუნქტში აღინიშნება უსაფრთხოების დეკლარაციის შევსების თარიღიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მომხდარი ავარიების (ინციდენტების) დინამიკა და მათი გამომწვევი ფაქტორებისა და მიზეზების მოკლე აღწერა;

ქ) 22-ე პუნქტში აღინიშნება არსებული რეაგირების ძალების მომზადების პერიოდულობა; სად, რა სახის (რამდენსაათიანი თეორიული მომზადების ან გადამზადების) კურსი გაიარეს; ტარდება თუ არა პრაქტიკული ვარჯიშები და რა პერიოდულობით;

ღ) 23-ე პუნქტში აღინიშნება სახანძრო ჰიდრანტებისა და რეზერვუარების რაოდენობა, მოცულობა (გენგეგმაზე მათი განლაგების სქემის ჩვენებით); წყლის სხვა მარაგების (აუზები, შადრევნები, საცურაო აუზები) მოცულობა; მიმდებარე ტერიტორიაზე ბუნებრივი და ხელოვნური წყალსაცავების არსებობა, არსებობის შემთხვევაში, მათი მდებარეობა, მოცულობა და სარკის ზედაპირის ფართობი;

ყ) 24-ე პუნქტში აღინიშნება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტში ხანძრის ქრობისა და აღმომჩენი ავტომატური სისტემების არსებობა; მათი არსებობის შემთხვევაში – ტიპი, განლაგების სქემა და დაყენების თარიღი;

შ) 25-ე პუნქტში აღინიშნება, არსებობს თუ არა ის დამატებითი, მოქმედი და სარეზერვო გაზ-, წყალ- და ელექტროსადენების სქემები, რომლებიც გენგეგმაზე არ არის ნაჩვენები; არსებობის შემთხვევაში, მიეთითება, სად ინახება ისინი სხვა დამატებითი ტექნიკური დოკუმენტაციისა და განმარტებითი ბარათების თანხლებით (პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო მონაცემები);

ჩ) 26-ე პუნქტში აღინიშნება მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის მზღვეველის დასახელება და დაზღვევის მოქმედების ვადები.

დანართი №2

უსაფრთხოების დეკლარაციის ფორმა

1. ობიექტის დასახელება, მისამართი -----

2. ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმები, მოსამსახურეთა რაოდენობა -----

3. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებისა და რეკონსტრუქციის დრო -----

4. ობიექტის გენერალური გეგმა (პროექტი) ან განახლებული სიტუაციური გეგმა -----

5. ობიექტის კლასიფიკაცია, ობიექტში წარმოებული პროდუქცია -----

6. გაბატონებული ქარების მიმართულება -----

7. ობიექტის ადგილმდებარეობა -----

8. საწარმოო პროცესის უსაფრთხოების კონტროლის სისტემის არსებობა -----

9. ავარიის რისკის ანალიზი -----

10. მომსახურე პერსონალის შეტყობინების სისტემები -----

11. ობიექტის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსახლეობის შეტყობინების სისტემები -----

12. სპეციალურად უფლებამოსილი ორგანოების შეტყობინების სისტემები -----

13. ობიექტის მართვის პუნქტისა და მომსახურე პერსონალის დაცვისათვის დამცავი ნაგებობები -----

14. ცვლაში მომუშავე პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით

უზრუნველყოფა -----

15. საევაკუაციო ღონისძიებები -----

16. ობიექტში არსებული ფეთქებადსაშიში, ქიმიურად სახიფათო და სხვა სახიფათო ნივთიერებების რაოდენობა, სახეობა:

1. -----

2. -----

3. -----

17. კვების ბლოკის არსებობა (რამდენ კაცზეა გათვლილი) -----

18. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა -----

19. უსაფრთხოების სამსახური, საავარიო-სამაშველო და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფი -----

20. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების საშუალებები (სპეცტექნიკა) -----

21. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მომხდარი ავარიების გამომწვევი მიზეზები -----

22. არსებული რეაგირების ძალების მომზადების პერიოდულობა -----

23. სახანძრო ჰიდრანტები და რეზერვუარები -----
(გენგემაზე)

24. ხანძრის ქრობისა და აღმომჩენი ავტომატური სისტემები -----

25. დამატებითი, მოქმედი და სარეზერვო გაზგაყვანილობის, ელგაყვანილობისა და წყალგაყვანილობის (რომლებიც გენგემაზე არ არის ნაჩვენები) შესახებ ინფორმაცია -----

26. ობიექტის მზღვეველის დასახელება, დაზღვევის მოქმედების ვადები -----

უსაფრთხოების დეკლარაცია შეავსო

(ხელმოწერა)

ობიექტის ხელმძღვანელი